ოქმი:**ო37. 37252112**

თარიღი:**30/07/2025**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2025 წელი, 30 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11:00 -12:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ს. ქარცივაძე, თ. ნიკოლაიშვილი, ხ. თავდიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 30-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 30-ხმით.

დღის წესრიგი

28.1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე უსახელო მწვერვალისათვის საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას სახელის მინიჭების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ბექა თოიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 30- ხმით

დარგობრივი კომისსის თვმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს განკარგულების დამტკიცებას.

29.2.. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში მდებარე N2 ქუჩისათვის „ასი ათასი მოწამის“ სახელის მინიჭების შესახებ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ბექა თოიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 30- ხმით

დარგობრივი კომისიის თვმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს განკარგულების დამტკიცებას.

8.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია
გელა ჩავლეშვილი
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 30- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელს: იყო წინასაარჩევნო დაპირება, რომ საანგარიშო პერიოში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადალახავდა 350 მილიონ ლარიან ზღვარს? როგორია მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი 2025 წლისათვის? უპასუხეს, რომ საანგარიშო პერიოდისათის, ზრდის პარამეტრებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება გადალახული 350 მილიონლარიანი ზღვარი, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს, ყოველწლიურად იზრდება 3-4 მილიონი ლარით, მათში მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადასახდელებისა და მოსაკრებლების წილიც, რომლებიც ასევე ამოღების ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

დარგობრივი კომისიის თვმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

9.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დრჩია
თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე
ქეთევან ხომერიკი
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 30- ხმით

დარგობრივი კომისიის თვმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

5. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი